აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2014 წლის 6 აგვისტო

აბაშა

აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეიქმნას აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და განისაზღვროს მათი სამოქმედო ტერიტორია თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ქურდოვანიძე**

აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

1. ქ. აბაშის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - ქალაქი, ნოღოხაში, კაპანა, კვათანა);
2. ნორიოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: მაცხოვრისკარი, ნორიო, საგვაზაო, აბაშისპირი, ძიგური, საბოკუჩაო);

3.სუჯუნის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: სუჯუნა, ეწერი, წალიკარი);

4. მარნის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: მარანი, მარანჭალა);

5. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: პირველი მაისი, თხმელარი, გაუწყინარი, ქვიშანჭალა);

6. ქოლობნის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: ქოლობანი, ბულვანი, გუგუნაყათი);

7. ტყვირის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: ტყვირი, ცილორი);

8. ნაესაკოვოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: ნაესაკოვო, გამოღმა კოდორი);

9. კეთილარის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: კეთილარი, გულეიკარი, გაღმა კოდორი);

10. ზანათის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: გაღმა ზანათი, გამოღმა ზანათი);

11.სამიქაოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: სამიქაო, მაიდანი);

12. გეზათის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: გეზათი, გულუხეთი);

13. ძველი აბაშის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფელი ძველი აბაშა);

14. წყემის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფელი წყემი)

15. ონტოფოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფელი ონტოფო)

16. სეფიეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფელი სეფიეთი).